



წლიური ანგარიში (2016) მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური, 204577813

(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:

ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა, 2304

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური, 204577813

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	7800.00	7775.5	7418.8	95.41	12771.2

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- **ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა (eBudget)** – დაემატა ბიუჯეტის ბალანსის ავტომატური კონტროლის მექანიზმი და შეიქმნა საკონტროლო სავალიდაციო ანგარიშგებები. ჩატარდა უფლებების ჩატვირთვის პროცედურის ოპტიმიზაცია. განხორციელდა მონაცემთა ბაზის მოდიფიცირება. ახალ ტექნოლოგიაზე (HTML, AngularJS) გადაიწერა გადასახდელების მოდულის ფუნქციონალი. ჩატარდა ნორმატიული აქტების მოდულის ფუნქციონალის რეფორმა, რის შედეგადაც შეიქმნა ნორმატიული აქტების ცვლილებებისა და ისტორიის მართვის, ასევე, წინა წლის ნაშთების ადმინისტრირების ახალი ფუნქციონალი.





- სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა (eTreasury)** – დაემატა: მიმდინარე სამუშაო პერიოდის ვალდებულებების დაკავშირება წინა პერიოდის ვალდებულებებთან; ორგანიზაციის შექმნის თარიღის რედაქტირება და ხელშეკრულებაში CPV კოდების დამატება; მესამე პირის გადახდების განხორციელების შესაძლებლობა. ბექ-ოფისის ნაწილს დაემატა „ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების“ და „თანხის გადატანის“ ოპერაციები და საბიუჯეტო კოდების სიმრავლის ადმინისტრირების ფუნქციონალი. შესაძლებელი გახდა ერთ ჩარიცხვაზე რამდენიმე მიზნობრივი გრანტის ხელშეკრულების განსაზღვრა. მწვანე დერეფანს დაემატა დაფარვის წყაროების და მივლინებების გლობალური პირობები. შემოსავლების მოდულს დაემატა ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის მომსახურების ქვემოდული. შესაძლებელი გახდა შიდა ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის ექსპორტი.
- ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა (eHRMS)** – გაუმჯობესდა და დაიხვეწა სისტემის ფუნქციონალი. განახლდა კლასიფიკატორების მართვის სქემა და თანამშრომლის პირადი ბარათი. განხორციელდა ინტეგრაცია eTreasury სისტემასთან სახელფასო უწყისის ფაილის მომზადების კუთხით და სინქრონიზაცია დასწრების აღრიცხვის სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ სისტემებთან. განახლდა შვებულების მართვის და სამუშაო აღწერილობის ფუნქციონალები. დაემატა სიახლეების მართვისა და სტრუქტურაში ორგანიზაციების ძიების ფუნქციონალები. განხორციელდა სისტემის რეფაქტორინგი. განახლდა კლასიფიკატორების მართვის სქემა და თანამშრომლის პირადი ბარათი. დასრულდა ლოკალიზაციის ამოცანა - სისტემა ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე.
- სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა (eDMS)** - შემუშავდა ახალი ვერსია შემუშავება. დასრულდა და სამუშაო გარემოში განთავსდა ფასიანი ქაღალდების აუქციონების ძირითადი თანხის მომსახურების ავტომატიზაციის ფუნქციონალი, რის ფარგლებშიც მოხდა ინტეგრაცია eTreasury სისტემასთან. სტაბილიზაციის ფაზაშია გეგმიური კალენდრის ანალიტიკური მოდულის შემუშავების ამოცანა. დაემატა „ფულადი ნაკადების“, „პორტფელის დინამიკის“ და „კვარტალური კალენდრის“ ანგარიშგებები. განხორციელდა კლიენტის ნაწილის პროგრამული კოდის სრული რეფაქტორინგი. სისტემის მოძველებული (Silverlight) ტექნოლოგია შეიცვალა ახლით (AngularJS). დაემატა გეგმიური კალენდრის ანალიტიკური მოდული. განხორციელდა ინტეგრაცია eTreasury სისტემასთან. განხორციელდა სისტემის კლიენტის ნაწილის კოდის სრული რეფაქტორინგი.
- ფინანსთა სამინისტროს ICT ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა** - დაინერგა ITIL სტანდარტის ცვლილებების მართვის სისტემა მაიკროსოფტის სისტემ-ცენტრის ტექნიკურ პლატფორმაზე. განხორციელდა საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) სერვერების მიგრაცია დატვირთვის ბალანსერზე, რაც, როგორც დატვირთვის ბალანსირების, ისე სისტემის გამორთვის გარეშე ახალი სერვერების დამატების შესაძლებლობას იძლევა. გაძლიერდა ინფორმაციული უსაფრთხოება ვებაპლიკაციებზე არასანქცირებული შეღწევისგან დაცვის მხრივ. შესწავლილი და აღმოფხვრილი იქნა არსებული ვებაპლიკაციების სისუსტეები და დაინერგა მათი დამცავი ფილტრი გარე ინტერფეისებზე. განხორციელდა მონაცემთა შენახვის სისტემის მოცულობის და სიმძლავრის გაზრდა სწრაფი დისკური მასივის დამატების გზით. დაინერგა ხაზინისა და ბიუჯეტის მონაცემთა ბაზის ოპერირების ახალი ტექნოლოგია Always On, რაც





საშუალებას იძლევა რეპორტების გენერაციისას ტრანზაქციული ბაზიდან მოიხსნას დატვირთვა. დაინერგა მოთხოვნებისა და ცვლილებების მართვის ახალი სისტემა.

- **საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument)** - განხორციელდა სისტემის 5 მსხვილმასშტაბიანი განახლება. დაინერგა ცენტრალური ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების 50-მდე მეტ ორგანიზაციაში. შემუშავდა სისტემის სრულიად ახალი ვერსია Angular ტექნოლოგიის გამოყენებით.

- **ელექტრონული აუქციონი eAuction** - განხორციელდა სისტემის 10-მდე ფუნქციონალის ოპტიმიზაცია. სისტემას დაემატა ახალი ვებსერვისები და ბანერები. დასრულდა ოპტიმიზაცია და რეალურ გარემოში განთავსდა სისტემის შემდეგი კომპონენტები: პრობლემური გადახდების პრევენცია, ელექტრონული მაღაზიის, ელექტრონული ფოსტის გაგზავნის, კლონირების, ცნობარების მართვის, ანგარიშგებების მართვისა და ლოტების ადმინისტრირების ფუნქციონალები. შემუშავდა და რეალურ გარემოში განთავსდა სისტემის ექვსი ახალი ფუნქციონალი. ჩატარდა ოპტიმიზაცია. გაუმჯობესდა სისტემის ძიების ფუნქციონალი. დაემატა ანგარიშგების სხვადასხვა ფორმები და ჩატარდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტექნიკური და პროგრამული სამუშაოები.

- შემუშავდა 10-მდე ახალი ვებგვერდი და პორტალის დიზაინი. ჩატარდა html მარკირება სხვადასხვა სისტემისა და ელექტრონული პლატფორმისთვის.

- ჩატარდა შემდეგი ტრენინგების, სემინარების და კონსულტაციების ციკლი:

საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა eDocument - 49 ორგანიზაცია, 1068 მომხმარებელი;

ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა (eHRMS) – 221 ორგანიზაცია, 562 მომხმარებელი; მ.შ. ადგილობრივი თვითმმართველობის 102 ორგანო, 232 მომხმარებელი;

სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა (eTreasury) – 197 მომხმარებელი;

საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემა (eGMC) – 39 მომხმარებელი.

სულ - **1827** მომხმარებელი.

ცხელი ხაზი 1551-ით სარგებლობა:

მომართვათა საერთო რაოდენობა - **20371**.

გაწეულია **13821** სატელეფონო ან online კონსულტაცია, მ.შ.: eDocument - 5140, eTreasury - 5292, eHRMS - 1553, სხვა სისტემები - 1836.

მხარდაჭერა **6550** (ინციდენტი, მოთხოვნა), მ.შ.: მხარდაჭერის ჯგუფის წევრების გამოძახება და შესაბამის მომსახურება - 3781, სხვა ტექნიკური მომსახურება - 2769.





დასახული საბოლოო შედეგები:

ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) დანერგვის შემდგომი პროცესის უზრუნველყოფა და გეგმის მიხედვით განვითარება.

ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო კონსოლიდირებული და ინტეგრირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე აგებული ფინანსთა სამინისტროს სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია.

ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების და ზოგადად ინფორმაციული ტექნოლოგიების ყველა მომხმარებლის იდენტიფიცირება, მათი სხვადასხვა რესურსებზე წვდომის უფლებების განსაზღვრა, კონტროლი და მონიტორინგი, მომხმარებელთა სხვადასხვა საკომუნიკაციო სერვისების გამოყენების ოპტიმიზაცია.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი სისტემებისა და ელექტრონული სერვისების, ვებპროდუქტებისა და ვებსერვისების, ელექტრონული მმართველობის კომპონენტების, სხვა ახალი ტექნიკური სისტემების შემუშავება, დანერგვა და განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები: საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) დანერგვის შემდგომი პროცესები უზრუნველყოფილია და შესაბამისობაშია გეგმასთან; უზრუნველყოფილია ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო კონსოლიდირებული და ინტეგრირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა; უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე აგებული ფინანსთა სამინისტროს სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია; ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ყველა მომხმარებლის იდენტიფიცირებული. განსაზღვრულია მომხმარებელთა მათი სხვადასხვა რესურსზე წვდომის უფლებები, უზრუნველყოფილია კონტროლი და მონიტორინგი; ოპტიმიზებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო სერვისების გამოყენება მომხმარებელთა მიერ; უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი სისტემებისა და ელექტრონული სერვისების, ვებპროდუქტებისა და ვებსერვისების, ელექტრონული მმართველობის კომპონენტების, სხვა ახალი ტექნიკური სისტემების შემუშავება, დანერგვა და განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები*: თანამშრომელთა პროფესიულ ტრენინგებში მონაწილეობის რაოდენობრივი მაჩვენებელი; ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) ახალი კომპონენტების დანერგვის, უკვე არსებული ქვესისტემების სრულყოფის ფაქტობრივი ვადების და რესურსების ხარჯვის შესაბამისობა დაგეგმილ ვადებთან; რეალიზებული ინფორმაციულ-ანალიტიკური სისტემების და ვებპროდუქტების ფუნქციონალის შესაბამისობა ფინანსთა სამინისტროს სისტემის ან სხვა სამთავრობო უწყებების მოთხოვნების ფუნქციონალურ სპეციფიკაციასთან; სამსახურის მიერ 2014 წელს შემუშავებული და დანერგილი ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზაზე სისტემების, ვებ-პროდუქტების, ელექტრონული სერვისების, სხვა ტიპის ტექნიკური სისტემების ზოგადი მაჩვენებლები; სამსახურში მოქმედი





ცხელი ხაზის 511-1551 საქმიანობის ამსახველი წლიური სტატისტიკური მაჩვენებლები; საინფორმაციო სისტემებში ხარვეზების რაოდენობის და ავარიული გაჩერებების აღმოფხვრის დროის ჯამური წლიური მაჩვენებელი.

